საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია

წრიული რბოლა

2026

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

წრიული რბოლა

წრიულ რბოლა, რომელიც ტარდება "საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის" ეგიდით

აღნიშნული ღონისძიების ძირითად მიზანს და დანიშნულებას წარმოადგენს:

- საქართველოს ჩემპიონის გამოვლენა წრიულ მოტო რბოლაში :
    - კლასი პროფესიონალი (პრო კლასი)
- საქართველოს თასის (მოტომოყვარულთა შორის " TIME ATTACK ") გამარჯვებულის გამოვლენა ორ კლასში:
    - კლასი 600
    - კლასი 1000
- მოტო სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და ზოგადი ცნობიერების ამაღლება
- მონაწილეთა სპორტული ოსტატობის ამაღლება
- მონაწილეთა შორის უძლიერესი სპორტსმენების გამოვლენა

ღონისძება ტარდება საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი რეგლამენტის, რეგლამენტის დანართებისა და შეჯიბრების დებულების დაცვით.

დანართები რეგლამენტისათვის შესაძლებელია გამოქვეყნდეს კალენდარული გეგმით გათვალისწინებული რბოლების დაწყებამდე.

დაუშვებელია დანართის გამოქვეყნება მიმდინარე წლის რეგლამენტისათვის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ.

კონკრეტული ეტაპის შეჯიბრების დებულების ცვლილება ნებადართულია თუ შეჯიბრის დირექცია ჩათვლის საჭიროდ და აღნიშნული არ შეეწინააღმდეგება ჩემპიონატის მიმდინარე რეგლამენტს

ჩემპიონატის ჩატარების ადგილი, თარიღი და წრეების რაოდენობა

- ჩემპიონატის ჩატარების ადგილი - რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი
- ჩემპიონატის ეტაპების ჩატარების თარიღები:

I ეტაპი – 19 ივლისი
II ეტაპი – 5 სექტემბერი
III ეტაპი – 3 ოქტომბერი

- ტრასის სიგრძე - 4122 მეტრი
- საქართველოს ჩემპიონატის წრიული რბოლის პრო კლასის შესასრულებელი წრეების რაოდენობა შეადგენს 10 წრეს
- საქართველოს თასი მოტომოყვარულთა შორის **"TIME ATTACK"** , შეჯიბრი წარმოდგენილია მინიმუმ ორი 15 წუთიანი სესიით (რეგულირდება ეტაპის რეგლამენტით)
- ტრასაზე მოძრაობა - საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.
- თუ საქართველოს ჩემპიონატზე წრიულ რბოლაში 6 (ექვს) მრბოლელზე ნაკლები დარეგისტრირდება, შეჯიბრი გაუქმებულად ჩაითვლება.
- საქართველოს ჩემპიონატში, საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში ქულათა სისტემის შესაბამისი ქულების მისაღებად მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა რბოლის სტარტზე (საბოლოო სასტარტო ბადე) განისაზღვრება მინიმუმ 6 (ექვსი) მონაწილით.

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

- თუ ეტაპზე რეგისტრირებული მონაწილეების რაოდენობა არის 6 (ექვსი) ან მეტი მონაწილე და რბოლის სტარტზე (საბოლოო სასტარტო ბადე) მონაწილეების რაოდენობა იქნება 5 (ხუთი) მაშინ მონაწილეებს რბოლის საბოლოო შედეგებზე დაეწერებათ საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში ქულათა სისტემის განახევრებული - 50% ქულა, ხოლო რეკორდის ქულა დარჩება უცვლელი
- თუ ეტაპზე რეგისტრირებული მონაწილეების რაოდენობა არის 6 (ექვსი) ან მეტი მონაწილე და რბოლის სტარტზე მონაწილეთა რაოდენობა იქნება 4 (ოთხი) ან ნაკლები, ასეთ შემთხვევაში რბოლა არ გაიმართება და ჩაითვლება გაუქმებულად
- საქართველოს თასი მოტო მოყვარულთა შორის **"TIME ATTACK"** თითოეული კლასი შემდგარად ჩაითვლება თუ რეგისტრირებული იქნება მინიმუმ 6 (ექვსი) მონაწილე და მინიმუმ 1 წრე (დაფიქსირებული დრო) შესრულებული ექნება მინიმუმ 6 (ექვსი) მონაწილეს.
- საქართველოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო გარბენის ქულათა სისტემის შესაბამისი ქულის მისაღებად საკვალიფიკაციო გარბენზე მინიმუმ 1 სრული წრე (დაფისირებული საკვალიფიკაციო დრო) დაფიქსირებული უნდა ქონდეს მინიმუმ 6 (ექვსი) მონაწილეს.
- საქართველოს ჩემპიონატის თითოეული ეტაპი შედგება მინიმუმ 1 (ერთი) ვარჯიშისაგან, 1 (ერთი) საკვალიფიკაციო გარბენისაგან და 1 (ერთი) რბოლისაგან.
- საქართველოს ჩემპიონატის ეტაპებზე ვარჯიში თავისუფალია
- რბოლისა და სპრინტის (არსებობის შემთხვევაში) მონაწილეები სასტარტო ბადეზე განლაგდებიან საკვალიფიკაციო შედეგების მიხედვით
- საქართველოს ჩემპიონატის თითოეულ ეტაპზე მონაწილეს, რომელიც საკვალიფიკაციო გარბენისას ლიდერის საუკეთესო დროს ჩამორჩება 10%-ით ან მეტით არ დაიშვება ძირითად და სპრინტ რბოლებზე. გარდა შემთხვევებისა, როდესაც მონაწილის დრო დამაკმაყოფილებელი იქნება რბოლის დირექციისათვის, რომელიც დააფიქსირა მონაწილემ ვარჯიშისას.
- უამინდობის შემთხვევაში ღონისძიების დირექციის გადაწყვეტილებით შეჯიბრება შეწყდება ან/და არ ჩატარდება.
- რბოლის შეწყვეტის შემთხვევაში, როცა რბოლის ლიდერის მიერ არ არის შესრულებული რბოლის დისტანციის 3 (სამი) სრული წრე სასტარტო პროცედურა დაიწყება თავიდან და რბოლა დაიწყება პირველი წრიდან (რბოლის შეწყვეტის პირველ შემთხვევაში). ამ შემთხვევაში მრბოლელებმა რომლებმაც ვერ აიღეს სტარტი ან/და რბოლის შეწყვეტამდე გამოეთიშნენ უფლება აქვთ სტარტი აიღონ პიტლეინიდან.
- თუ რბოლა შეწყდა პირველ წრეზე პირველი რესტარტის შემდეგ პროცედურა იქნება იგივე რაც რბოლის შეწყვეტის პირველ შემთხვევაში. მეორე და შემდეგ წრეზე შეწყვეტის შემთხვევაში რბოლა გაგრძელდება ბოლო ქრონომეტრირებული წრის შედეგების მიხედვით. წრეზე ჩამორჩენილი მონაწილეები სტარტს აიღებენ პიტლეინიდან 10 (ათი) წამის შემდეგ როცა პელეტონი გაცდება პიტლეინის გასასვლელს.
- რბოლის განახლების შემთხვევაში (გარდა შემთხვევისა, როდესაც სასტარტო პროცედურა იწყება თავიდან) ყველა წრეზე ჩამორჩენილი მონაწილე სტარტს აიღებს პიტლეინიდან 10 (ათი) წამის შემდეგ როდესაც მონაწილე (სასტარტო ბადიდან) ჩაუვლის პიტ ლეინის გასასვლელს.
- თუ რბოლა შეწყდება და აღარ გაგრძელდება (რეგლამენტში გათვალისწინებული მინიმალური წრეების შესრულების შემთხვევაში), მონაწილეები რომლებიც არ იყვნენ რბოლაში აქტიურად ჩართულები ან/და რბოლას იყვნენ გამოთიშულები, რბოლის საბოლოო შედეგებში დაეწერებათ DNF, ამ შემთხვევაში კვალიფიკაციის შესაბამისი ქულა დაეწერებათ, ასევე დაფიქსირებული რეკორდის შესაბამის ქულაც (არსებობის შემთხვევაში)
- რბოლის საბოლოო შედეგები ითვლება ლიდერის მიერ გავლილი წრეების რაოდენობიდან გამომდინარე
- თუ რბოლა შეწყდება და ლიდერს გავლილი ექნება რბოლის რეგლამენტით გათვლილი საერთო დისტანციის მინიმუმ 70%, რბოლა გამოცხადდება დასრულებულად და მონაწილეებს ქულა დაეწერებათ რეგლამენტის შესაბამისად.
- ლიდერის მიერ, რეგლამენტით გათვალისწინებული წრეების რაოდენობის გავლის შემთხვევში რბოლა

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

დასრულდება ფინიშის ალმით და ყველა მონაწილე რომელიც, გადაკვეთს ფინიშის ზოლს (ლიდერის შემდეგ) ასევე დაასრულებს რბოლას ფინიშის ალმით, მონაწილეები რომლებიც ვერ გადაკვეთავენ ფინიშის ზოლს ლიდერის შემდეგ, რბოლის საბოლოო შედეგებში ჩაეწერებათ **DNF** (Do Not Finish) დაეწერებათ კვალიფიკაციის შესაბამისი ქულა, ასევე დაფიქსირებული რეკორდის შესაბამისი ქულა (არსებობის შემთხვევაში)

- იმ შემთხვევაში თუ რბოლა შეწყდა და აღარ გაგრძელდა და რბოლის ლიდერს გავლილი აქვს რეგლამენტით გათვალისწინებული წრეების რაოდენობის მინიმუმ 50%, მონაწილეებს ქულები მიენიჭებათ ლიდერის მიერ გავლილი წრეების რაოდენობის მიხედვით და ჩემპიონატის ქულათა მინიჭების სისტემის შესაბამისად.
- თუ რბოლა შეწყდა და აღარ გარძლედა მონაწილეებს ქულა დაეწერებათ ლიდერის მიერ ბოლოს გადაკვეთილი ქრონომეტრირებული შედეგის მიხედვით, მონაწილეები, რომლებიც გამოთიშულები არიან რბოლას (რბოლის შეწყვეტის მომენტში) ეტაპის საბოლოო შედეგების დათვლისას რბოლა ჩაეთვლებათ დაუსრულებლად (DNF)
- ეტაპის საბოლოო შედეგების დათვლისას და რბოლისათვის განსაზღვრული ქულების მისაღებად მონაწილე ვალდებულია გადაკვეთოს ფინიშის ზოლი სასტარტო მონაკვეთზე, (ფინიშის ზოლი გადაკვეთილად ითვლება იმ შემთხვევაში თუ სტარტ/ფინიშის მარშალი ფინიშის ალმით ანიშნებს შეჯიბრის დასრულებას)
- რბოლის ლიდერის მიერ რეგლამენტით გათვალისწინებული წრეების რაოდენობის შესრულების შემდეგ შეჯიბრების კონკრეტული ეტაპის საბოლოო შედეგების დათვლისას მონაწილეს არ მიენიჭება რბოლისათვის განსაზღვრული ქულა თუ მონაწილე რბოლაში არ არის აქტიურად ჩართული ან/და იმყოფება პიტლეინზე
- სპრინტ რბოლა წრეების რაოდენობა - 5 წრე (არსებობის შემთხვევაში)
- სპრინტ რბოლისთვისა და რბოლისთვის სასტარტო პროცედურა ერთნაირია.
- სპრინტ რბოლის პირველ წრეზე შეწყვეტის შემთხვევაში რბოლა დაიწყება თავიდან. მონაწილეები რომლებიც რბოლას გამოეთიშნენ ან/და ვერ აიღეს სტარტი, უფლება აქვთ სტარტი აიღონ პიტლეინიდან
- სპრინტ რბოლის მეორე ან მესამე წრეზე შეწყვეტის შემთხვევაში რბოლა განახლდება წინა წრის შედეგების მიხედვით. IV ან V წრეზე რბოლის შეწყვეტის შემთხვევაში სპრინტ რბოლა აღარ განახლდება. სპრინტ რბოლა შემდგარად ჩითვლება თუ რბოლის ლიდერის მიერ შესრულებულია მინიმუმ 3 სრული წრე.
- სპრინტ რბოლაზე ქულათა დარიცხვის პრინციპი გათვალისწინებულია მიმდინარე რეგლამენტის ქულათა სისტემაში.

<u>სასტარტო პროცედურა (რბოლა/სპრინტ რბოლა):</u>

- ხმოვანი სიგნალი და 5 წუთი - პიტლეინის გასასვლელის გახსნამდე დარჩენილია 5 წუთი
- ხმოვანი სიგნალი და 3 წუთი - პირტლეინის გასასვლელის გახსნამდე დარჩენილია 3 წუთი
- ხმოვანი სიგნალი და 1 წუთი - პიტლეინის გასასვლელი გახსნამდე დარჩენილია 1 წუთი
- ხმოვანი სიგნალი - პიტლეინის გასასვლელი გაიხსნა (მწვანე შუქი პიტლეინის გასასვლელის შუქნიშანზე)
- მონაწილეებს უფლება აქვთ დატოვონ პიტლეინი და სარბოლო მონაკვეთის გავლის შემდეგ დადგნენ მათთვის განკუთვნილ (შეჯიბრების დირექციის მიერ დამტკიცებული საბოლოო სასტარტო ბადის მიხედვით) სასტარტო პოზიციაზე
- ხმოვანი სიგნალი და 5 წუთი - პიტლეინის გასასვლელის დახურვამდე დარჩენილია 5 წუთი
- ხმოვანი სიგნალი და 3 წუთი - პირტლეინის გასასვლელის დახურვამდე დარჩენილია 3 წუთი
- ხმოვანი სიგნალი და 1 წუთი - პიტლეინის გასასვლელის დახურვამდე დარჩენილი 1 წუთი
- ხმოვანი სიგნალი - პიტლეინის გასასვლელი დაიხურა (წითელი შუქი პიტლეინის გასასვლელის შუქნიშანზე)
- ხმოვანი სიგნალი და 5 წუთი - რბოლის გამახურებელ წრემდე დარჩენილია 5 წუთი
- ხმოვანი სიგნალი და 3 წუთი - რბოლის გამახურებელ წრემდე დარჩენილია 3 წუთი
- ხმოვანი სიგნალი და 1 წუთი - რბოლის გამახურებელ წრემდე დარჩენილია 1 წუთი
- ხმოვანი სიგნალი და 30 წამი - რბოლის გამახურებელ წრემდე დარჩენილია 30 წამი
- ხმოვანი სიგნალი და 15 წამი - რბოლის გამახურებელ წრემდე დარჩენილია 15 წამი

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

- ცენტრალურ შუქნიშანზე ჩაქრა წითელი შუქი და აინთო მწვანე შუქი
- მონაწილეები პოზიციების დაცვით (გადასწრების გარეშე - გარდა შემთხვევისა, როდესაც რომელიმე მონაწილე ვერ ახერხებს სარბოლო მონაკვეთზე გადაადგილებას) მონაწილეები გაივლიან გამახურებელ წრეს (სრულ წრეს)
- მონაწილე, რომელიც გამახურებელ წრეზე დაკარგავს პოზიციას უფლება აქვს სასტარტო ბადეზე დადგეს მისთვის განკუთვნილ სასტარტო პოზიციაზე
- გამახურებელი წრის შემდეგ მონაწილეები დადგებიან მათთვის განკუთვნილ სასტარტო პოზიციებზე (სასტარტო ბადეზე) და როდესაც შეჯიბრის დირექცია დარწმუნდება, რომ სასტარტო ბადე მზად არის რბოლის დასაწყებად სტარტის მარშალი მიიღებს ნებართვას სტარტის პროცედურის დასაწყებად.
- სტარტის პროცედურა გრძელდება 3-5 წამი ცენტრალური შუქნიშნით - 5 წითელი შუქი აინთება თანმიმდევრულად და 5-ვე წითლი შუქის ანთების შემდეგ ჩაქრება და აინთება მწვანე შუქი. რბოლა იწყება წითელი შუქის ჩაქრობით.
- მონაწილე, რომელიც პიტლეინის გასასვლელის დახურვამდე ვერ შეძლებს სარბოლო მონაკვეთზე გამოსვლას, უფლება აქვს გამახურებელი წრეზე დაიძრას პიტლეინიდან პელეტონის გავლის შემდეგ, როდესაც პიტლეინის გასასვლელ შუქნიშანზე აინთება მწვანე შუქი. გამახურებელი წრის გავლის შემდეგ ასეთი მონაწილე ვალდებულია დაბრუნდეს პიტლეინზე და რბოლის სტარტს აიღებს პიტლეინიდან, როდესაც რბოლის სატრტის შემდეგ ყველა მონაწილე გაცდება პიტლეინის გასასვლელს და პიტლეინის გასასვლელის შუქნიშანზე ჩაირთვება მწვანე შუქი
- ნებისმიერი სესიის მიმდინარეობისას მონაწილეებს ეკრძალებათ სარბოლო მონაკვეთზე გასვლა თუ პიტლეინის გასასვლელ შუქნიშანზე მწვანე შუქი ანთია
- ყველა მონაწილე ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული შემოწმება შეჯიბრების დებულებაში მითითებული განრიგის მიხედვით
- ყველა მონაწილე ვალდებულია დაესწროს მონაწილეთა სავალდებულო ბრიფინგს, რომელიც გაიმართბა შეჯიბრების დებულების შესაბამისად, შეჯიბრების დებულებაში მითითებულ დროს.
- მონაწილეთა სავალდებულო ბრიფინგის გამოტოვების ან დაგვიანების შემთხვევაში (სეზონზე პირველი დარღვევა) მონაწილეს მიეცემა გაფრთხილება. მეორე დარღვევის შემთხვევაში მონაწილე დაჯარიმდება „საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის“ მიერ გამოქვეყნებული ჯარიმების ნუსხის შესაბამისად
- ნებისმიერი მონაწილე ვალდებულია დაემორჩილოს შეჯიბრების ოფიციალური პირების მითითებებსა და მოთხოვნებს. შეჯიბრების ოფიციალური პირების ჩამონათვალი მითითებულია შეჯიბრის დებულებაში

ღონისძიებაში არსებული კლასები

საქართველოს ჩემპიონატი წრიული რბოლა:

- კლასი პროფესიონალი “პრო კლასი“

საქართველოს თასი მოტომოყვარულთა შორის TIME ATTACK:

- კლასი 1000
- კლასი 600

მოყვარულთა კლასი 600 და კლასი 1000 სტარტს აიღებენ ერთ სასესიო გარბენში, ჩათვლა განხორციელდება კლასების შესაბამისად, ორივე სესიის საუკეთესო დროის მიხედვით გამოვლინდება გამარჯვებული

ეკიპირების მოთხოვნები

მონაწილე მრბოლელის აუცილებელი ეკიპირება:

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

- სრული ტიპის (Full Face) სერტიფიცირებული ჩაფხუტი
- ტყავის კომბინიზონი (დასაშვებია როგორც სრული, აგრეთვე 2 ნაწილიანი - გადასაბმელი ელვით)
- ხერხემლის დამცავი. თუ კომბინიზონს არ აქვს, მაშინ აუცილებელია ცალკე გაკეთება.
- მუხლის სლაიდერები (ტყავის კომბინიზონისთვის განკუთვნილი)
- ტყავის მთლიანი ხელთათმანები
- სარბოლო მოტობოტი

შენიშვნა: ზემოთ ხსენებული ყველა დეტალი აუცილებელია და უნდა იყოს დაუზიანებელ მდგომარეობაში.

მოტოციკლები:

მოტოციკლის მდგომარეობას რბოლამდე ამოწმებს მთ. ტექნიკოსი. მოთხოვნები იხილეთ ცალკე არსებულ ტექნიკურ რეგლამენტში.

შენიშვნა: თუ მონაწილის ეკიპირება ან მოტოციკლი არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ავტომატურად არ დაიშვება რბოლაზე.

ჩემპიონატის წლიური შედეგები

2026 წლის საქართველოს ჩემპიონატი წრიული რბოლა შედგება სამი ეტაპისგან მონაწილეობის მსურველს შეუძლია ჩემპიონატში ჩაერთოს ნებისმიერი ეტაპიდან. ყოველ ეტაპზე მონაწილე იღებს დაკავებული პოზიციის მიხედვით ქულებს. ჩემპიონი კი გამოვლინდება მესამე ეტაპის ბოლოს სამივე ეტაპის ქულების დაჯამებით. რომელიმე ეტაპის ან/და კლასის გაუქმების შემთხვევაში (მონაწილეთა არასაკმარისი რაოდენობის გამო) გამარჯვებულ მრბოლელს მიენიჭება არა საქართველოს ჩემპიონის არამედ 2026 წლის გამარჯვებული მრბოლელის სტატუსი

საქართველოს ჩემპიონატში საბოლოო შედეგების დათვლისას გათვალისწინებულია:

1. რბოლის კვალიფიკაციაზე მიღებული ქულები
2. რბოლის „სპრინტ“ რბოლაზე მიღებული ქულები (არსებობის შემთხვევაში)
3. რბოლისათვის მიღებული ქულები
4. 2026 წლის საქართველოს ჩემპიონატის წრიული რბოლის პრო კლასის ნებისმიერ ეტაპზე დაფიქსირებული რეკორდისათვის მიღებული ქულა (რეკორდის ქულა) განისაზღვრება ჩემპიონატის დასრულების შემდეგ

წლიური საბოლოო შედეგების დათვლისას, თუ ორ ან მეტ მონაწილეს ერთნაირი ქულები დაუგროვდებათ პოზიციები გადანაწილდება შემდეგ ნაირად: პირველ პოზიციას დაიკავებს მონაწილე რომელსაც უფრო მეტი პირველი ადგილი აქვს დაკავებული რბოლაზე, შემდეგი თანაფარდობის შემთხვევაში, პირველ პოზიციას დაიკავებს მონაწილე, რომელსაც უფრო მეტი მეორე ადგილი აქვს და ა.შ. თუ რბოლაზე დაკავებული პოზიციების მიხედვით ვერ გამოვლინდა საუკეთესო, მაშინ პირველ პოზიციას დაიკავებს მონაწილე რომელსაც უფრო მეტი პირველი ადგილი აქვს დაკავებული „სპრინტ“ რბოლაზე (არსებობის შემთხვევაში), შემდეგი თანაფარდობის შემთხვევეში. პირველ პოზიციას დაიკავებს მონაწილე, რომელსაც უფრო მეტი მეორე ადგილი აქვს და ასე შემდეგ. თუ ასეთ შემთხვევეშიც ვერ მოხერხდა უკეთესი პოზიციის მქონე მონაწილის გამოვლენა მაშინ მხედველობაში მიიღება მოინაწილის მიერ კვალიფიკაციებზე დაფიქსირებული საუკეთესო პოზიციები (ვისაც უფრო მეტი პირველი ადგილი აქვს დაფიქსირებული და ა.შ.)

წლიური საბოლოო შედეგების დათვლისას საქართველოს ჩემპიონატში ყველა მონაწილეს უუქმდება 1 რბოლის (ცენტრალური რბოლის) ყველაზე ცუდი შედეგი. თუ მონაწილეს საქართველოს ჩემპიონატის სამივე რბოლაში პირველი პოზიცია აქვს დაფიქსირებული გაუუქმდება ბოლო, მესამე ეტაპის ცენტრალური რბოლის შედეგი. რბოლაზე მიღებული დისკვალიფიკაცია არ ჩაითვლება ყველაზე ცუდ შედეგად.

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

ქულათა სისტემა თითოეული ეტაპისათვის :

- წრიული რბოლის ქულათა სისტემა

პოზიცია		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ქულები	რბოლა	25	20	16	13	11	10	9	8	7	6	5	4	3	2	1
	სპრინტ	12	9	7	6	5	4	3	2	1						
	კვალიფიკაცია	5	3	1												
	წლის რეკორდი	წლის საბოლოო შედეგების დათვლისას, მონაწილეს დაემატება **5** ქულა წლის რეკორდის დამყარებისათვის														

*შენიშვნა : რბოლის შეწყვეტის შემთხვევაში ქულათა სისტემა იქნება დათვლილი შემდეგნაირად

- **4** სრული წრე = **40 %**
- **5** სრული წრე = **50 %**
- **6** სრული წრე = **60 %**
- **7** სრული წრე = **100 %**
- **8** სრული წრე = **100 %**
- **9** სრული წრე = **100 %**
- **10** სრული წრე = **100 %**

*შენიშვნა : იმ შემთხვევაში თუ 5 სრულ წრეზე ნაკლებია რბოლა ჩაითვლება გაუქმებულად

მოტომოყვარულთა შორის **TIME ATTACK** ქულათა სისტემა

პოზიცია	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
Time Attack ქულები	**25**	**20**	**16**	**13**	**11**	**10**	**9**	**8**	**7**	**6**	**5**	**4**	**3**	**2**	**1**

დაჯილდოება

- დაჯილდოება მოხდება სამივე რბოლის დასრულების შემდეგ იმავე დღეს, გამარჯვებულებს გადაეცემათ თასები და მედალები

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

მონაწილეების ვალდებულებები

- მონაწილე ვალდებულია გაიაროს საშეჯიბრო რეგისტრაცია პრომოუტერი/ორგანიზატორების მიერ წინასწარ დადგენილი წესით
- მონაწილე ვალდებულია ჩემპიონატის პირველი ეტაპის რეგისტრაციის დროს გაიაროს საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის წლიური სალიცენზიო რეგისტრაცია,
- მონაწილე ვალდებულია დაესწროს ორგანიზატორების მიერ ორგანიზებულ ბრიფინგს, რომლის დრო და ადგილი წინასწარ იქნება განსაზღვრული ორგანიზატორების მიერ. მონაწილის ბრიფინგზე გამოცხადება დადასტურდება მისი ხელმოწერით. ბრიფინგზე იქნბა მიწოდებული ინფორმაცია შეჯიბრთან და ზოგად რისკებთან დაკავშირებით, მონაწილეები გაეცნობიან შეჯიბრის რეგლამენტს.
- მონაწილე ვალდებულია უსიტყვოდ დაემორჩილოს მსაჯების და ორგანიზატორების მითითებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მონაწილის დისკვალიფიკაცია.
- მონაწილეს ეკრძალება არაფხიზელ მდგომარეობაში შეჯიბრში მონაწილეობის მიღება.
- მონაწილეს ეკრძალება სხვისი მოტოტრანსპორტის შეხება.
- მონაწილეს ეკრძალება არასპორტული საქციელი, რაც გამოიხატება შემდეგში: უცენზურო სიტყვების ხმარება, ტერიტორიის დანაგვიანება, გამიზნულად მოწინააღმდეგის დაზიანება ან შეყოვნება, თვითნებურად საშეჯიბრო გზაზე გასვლა, მსაჯთან/ორგანიზატორთან შელაპარაკება და დაუმორჩილებლობა, წინასწარ დადგენილი წესების მიზანმიმართულად დარღვევა.
- ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების უგულებელყოფა გამოიწვევს სპორტსმენის დისკვალიფიკაციას.

ღონისძიებაზე რეგისტრაცია

მონაწილემ, ეროვნულ შეჯიბრებებში მონაწილეობის წლიური ლიცენზიის მიღება და შეჯიბრის რეგისტრაცია უნდა გაიაროს საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე **motofederation.ge** რეგისტრაცია დაიწყება პრომოუტერი/ორგანიზატორების მიერ წინასწარ განსაზღვრული წესით. რეგისტრაციისთვის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია:

- რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის ადმინისტრაციის მიერ გაცემული ცნობა (იხ. ტექნიკური რეგლამენტი)
- საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის მიერ გაცემული მრბოლელის წლიური ლიცენზია და შეჯიბრზე რეგისტრაციის ფორმა.

- **პრო კლასის** - მრბოლელის ლიცენზიის და შეჯიბრის 3 ეტაპზე რეგისტრაციის ღირებულება:
  - **600** ლარი სამივე ეტაპი **(წლიური ლიცენზია)**
  - **400** ლარი მეორე და მესამე ეტაპზე რეგისტრაცია **(წლიური ლიცენზია)**
  - **300** ლარი მხოლოდ მესამე ეტაპში ჩართვის შემთხვევაში **(ერთჯერადი ლიცენზია)**

- **"Time Attack"-ის კლასები** - მრბოლელის ლიცენზიის და შეჯიბრის 3 ეტაპზე რეგისტრაციის ღირებულება:
  - **800** ლარი სამივე ეტაპი **(წლიური ლიცენზია)**
  - **500** ლარი მეორე და მესამე ეტაპზე რეგისტრაცია **(წლიური ლიცენზია)**
  - **300** ლარი მხოლოდ ერთ ეტაპში ჩართვის შემთხვევაში **(ერთჯერადი ლიცენზია)**

რბოლაში მონაწილეობა დაშვებულია ყველასთვის, ვინც აკმაყოფილებს რეგლამენტით/ტექნიკური რეგლამენტით გაწერილ ყველა მოთხოვნას და საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციისგან აქვს მინიჭებული კონკრეტული ღონისძიების მრბოლელის ერთჯერადი ლიცენზია.

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

ტექნიკური რეგლამენტი

უსაფრთხოების მოთხოვნები წრიული
რბოლებისთვის შედგენილია FIM-ის მოთხოვნების მიხედვით
სარჩევი

1. ტექნიკური რეგულაციები
1.1 კლასები და დაშვებული კუბატურა
1.2 მინიმალური წონა
1.3 საბურავები
1.4 ძრავი
1.5 გადაცემათა კოლოფი / ტრანსმისია
1.6 გადაბმულობა
1.7 გაგრილების სისტემა
1.8 გამშვები სისტემა
1.9 ელექტრონიკა
1.10 ჩარჩო / საბფრეიმი
1.11 ამორტიზატორი
1.12 ქანქარა (მაიატნიკი)
1.13 დისკები
1.14 მუხრუჭები
1.15 სახელურები და შემადგენელი დეტალები
1.16 სატერფული და ფეხით მართვა
1.17 საწვავის ავზი
1.18 პლასტმასები და ვიზუალური მხარე
1.19 სავარძელი
1.20 რისი მოხსნაა ნებადართული დამატებით
1.21 დროის ამთვლელი მოწყობილობები
1.22 კამერების გამოყენება
2. რბოლაში მონაწილეობა

2.1 ლიცენზიები

3 ოფიციალური პირები

3.1 განმარტება

3.2 დროშების მნიშვნელობა

3.3 გასაჩივრება
4. სამედიცინო სერვისები ღონისძიების დროს
4.1 ძირითადი
4.2 მინიმალური სამედიცინო მოთხოვნები
4.3 სამედიცინო პერსონალი

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

შესავალი

ქვემოთ მოცემული წესების დანიშნულებაა მოტოციკლზე ცვლილებების შეზღუდვით უსაფრთხოების და სხვადასხვა კონცეფციის მქონე მოტოციკლებს შორის კონკურენციის გაზრდა. ყველაფერი რაც არაა ნებადართული და გაწერელი ამ წესებში, ითვლება როგორც მკაცრად აკრძალული

1. კლასები და დაშვებული კუბატურა

- პრო კლასი**: ნებისმიერი კუბატურა**
- კლასი მოტომოყვარული **(**მოტომოყვარულთა შორის **TIME ATTACK):**

კლასი **600**:

- 401 cm³-დან 640 cm³-მდე 4 ტაქტი 4 ცილინდრი
- 401 cm³-დან 675 cm³-მდე 4 ტაქტი 3 ცილინდრი
- 401 cm³-დან 899 cm³-მდე 4 ტაქტი 2 ცილინდრი

კლასი **1000:**

- 750 cm³-დან 1103 cm³-მდე 4 ტაქტი 3 და 4 ცილინდრი
- 949 cm³-დან 1301 cm³-მდე 4 ტაქტი 2 ცილინდრი

1.1 მინიმალური წონა

- კლასების მიხედვით მინიმალური წონა განსხვავებულია. 600 კუბისთვის ეს არის 162 კგ, ხოლო 1000 კუბისთვის 170 კგ.
- წონასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვება შეუძლებელია. შესაბამისად ნებადართულია ბალასტის გამოყენება საჭიროების შემთხვევაში. ბალასტად შეიძლება ავზში არსებული საწვავის გამოყენებაც.
- ბალასტი დამზადებული უნდა იყოს მყარი ლითონისგან და მოტოციკლის ჩარჩოზე ან ძრავზე უნდა დაყენედეს მინიმუმ 2 ჭანჭიკით (ბოლტით) (დიამეტრი მინიმუმ 8 მმ, კლასი 8.8 ან ზემოთ). სხვაგვარი ტექნიკური გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს ტექნიკურ დირექტორს.
- ღონისძიების ნებისმიერ მონაკვეთში მოტოციკლი უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებული მინიმალური წონის სტანდარტებს და მძღოლი ვალდებულია დაეთანხმოს ტექნიკური დირექტორის მხრიდან შემოწმების მოთხოვნას.

1.2 საბურავები

ა. მრბოლელს აქვს უფლება გამოიყენოს შეუზღუდავი რაოდენობის საბურავები ღონისძიების დროს
ბ. პრო კლასის შემთხვევაში სავალდებულოა ნახევრად გლუვი ან გლუვი ტიპის საბურავის გამოყენება
გ. კლასი მოტომოყვარულთა შორის **TIME ATTACK-**ზე გლუვი საბურავი არ დაიშვება,
დ. საბურავის ნახატის სიღრმე მთელ სიგრძეზე უნდა იყოს არანაკლებ 2 მმ
ე. საბურავის მაქსიმალური ასაკი არის 5 წელი, თუმცა აუცილებელია ვიზუალური დათვალიერებაც. საბურავს არ უნდა აღენიშნებოდეს დეფექტები
ვ. საბურავის ნებისმიერი დამუშავება ან მოდიფიცირება აკრძალულია

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

ზ. წვიმის საბურავების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა რბოლის დირექტორი გამოაცხადებს, რომ რბოლის ან პრაქტიკების დროს სარბოლო ტრასა არის სველი.
თ. საბურავის გამაცხელებლის გამოყენება დასაშვებია. გამოყენების შემთხვევაში მრბოლელი არ შეიზღუდება არანაირი ადგილის მონაცვლეობით.

1.3 ძრავი

ა. ჩემპიონატის მიმდინარეობისას მრბოლელს უფლება აქვს შეცვალოს ძრავი.
ბ. რბოლის წინ ტექნიკური დირექტორი ამოწმებს ძრავის მდგომარეობას ვიზუალურად და ნებისმიერი გაუმართაობის შემთხვევაში მოტოციკლი არ დაიშვება რბოლაზე.

1.4 გადაცემათა კოლოფი **/** ტრანსმისია

ა. სიჩქარის გადამრთველი, ლილვაკი და დამჭერი შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ უნდა მუშაობდეს გამართულად.
ბ. ''ქვიქშიფტერი'' ნებადართულია
გ. წინა და უკანა ვარსკვლავა, აგრეთვე ჯაჭვის ზომის შეცვლაც ნებადართულია
დ. ნებადართულია ვარსკვლავას ხუფის მოდიფიცირება ან საერთოდ მოხსნა
ე. შესაძლებელია ჯაჭვის დამცველის მოხსნაც

1.5 გადაბმულობა

ა. დაშვებულია მშრალი და სველი გადაბმულობაც
ბ. შესაძლებელია მუშაობის პრინციპის შეცვლა (ტროსი/ჰიდრავლიკური)
გ. დაშვებულია გადაბმულობის დეტალების მოდიფიცირება ან ახლით ჩანაცვლება
დ. დაშვებულია რეზერვუარის და კაბელების შეცვლა

1.6 გაგრილების სისტემა

ა. პრო კლასის შემთხვევაში ძრავის გამაგრილებელი სითხე უნდა იყოს წყალი ან სპეციალური სარბოლო სითხე.
ბ. დაშვებულია რადიატორის დამცავი ბადის დაყენება
გ. დაშვებულია გაგრილების სისტემის შლანგები/მილები და ავზის მოდიფიცირება ან შეცვლა
დ. დაშვებულია ორიგინალი რადიატორის შეცვლა და დამატებითი რადიატორის დაყენებაც

1.8 გამშვები სისტემა

ა. პირდაპირი გამშვები სისტემის დაყენება, ასევე დამატებითი ელექტრო ხელსაწყოებით გაძლიერება დაშვებულია
ბ. უმაყუჩოდ გამოსვლა აკრძალულია.
გ. გამშვები სისტემის შეფუთვა აკრძალულია გარდა იმ ადგილებისა, სადაც მრბოლელის ფეხი ან პლასტმასებია ახლო კონტაქტში

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

დ. ტრეკზე ხმის ლიმიტი შეზღუდული არ არის

1.9 ელექტრონიკა

ა. ძრავის ქარხნული კომპიუტერის (ECU) პარამეტრების და ადგილის შეცვლა დაშვებულია. (ადგილის შეცვლა მხოლოდ სარბოლო პლასტმასის არსებობისას)

ბ. შესაძლებელია ABS ბლოკის დემონტაჟი/მონტაჟი

გ. ელექტრონული სისტემები (ანტი ვილი, თრექშენი, ლანჩი) დასაშვებია ან შესაძლებელია დაყენება. შესაბამისად დასაშვებია გაუქმებაც.

დ. ტელემეტრია დაშვებულია

ე. დაშვებულია ქარხნული აალების სანთლების და ჩიბუხების შეცვლა

ვ. დაშვებულია ლითიუმის აკუმულატორი და ლოკაციის შეცვლა (ადგილის შეცვლა მხოლოდ სარბოლო პლასტმასის არსებობისას)

ზ. დაშვებულია ლეპ თაიმერი და GPS-ზე დაფუძნებული მოწყობილობების ქონა. (მყარად დამაგრებული)

1.10 ჩარჩო/საბფრეიმი

ა. ჩარჩო უნდა იყოს ორიგინალი ქარხნულ მდგომარეობაში

ბ. დასაშვებია ჩარჩოს გახვრეტა, რომ დამაგრდეს სხვადასხვა დეტალები (პლასტმასის სამაგრი, დემფერი, სენსორი და ა.შ)

გ. დასაშვებია ჩარჩოზე ''სლაიდერების'' დამაგრება

დ. დაშვებულია უკანა საბფრეიმის მოდიფიცირება, შეკეთება(მცირე დაზიანების მხოლოდ) ან შეცვლა.

ე. ინციდენტის შემდეგ აღდგენილი მოტოციკლი უნდა შემოწმდეს ტექნიკური კომისარის მიერ, სანამ დაიშვება რბოლაში.

ვ. დასაშვებია ჩარჩოზე სხვადასხვა კომპოზიტური მასალების დამცავის აკვრა. დამცავი ზუსტად უნდა იმეორებდეს ჩარჩოს ფორმას.

ზ. კარბონის და ტიტანის ჩარჩოს გამოყენება აკრძალულია.

1.11 ამორტიზატორი

ა. დაშვებულია ამორტიზატორის/ჩანგლების განახლება უკეთესით.

ბ. დაშვებულია ჩანგლის ზედა ხუფის შეცვლა/მოდიფიცირება პარამეტრების მარტივად გასწორების მიზნით.

გ. დაშვებულია დემფერის დაყენება, აგრეთვე ქარხნულის უკეთესით შეცვლა.

დ. დაშვებულია ამორტიზატორებში ნებისმიერი დაშვების ზეთის გამოყენება.

1.12 ქანქარა
ა. დაშვებულია მხოლოდ ქარხნული ქანქარა

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

ბ. დაშვებულია უკანა სტენდის სამაგრების დაყენება ან დადუღება

1.13 დისკები

ა. დასაშვებია დისკების შეცვლა

ბ. დაშვებულია კარბონის/ტიტანის და მსგავსი მსუბუქი დისკების გამოყენება

1.14 მუხრუჭები

ა. სამუხრუჭე დისკების შეცვლა დაშვებულია

ბ. იმისთვის რომ შემცირდეს ჰიდრავლიკის სითხის გაცხელება დაშვებულია მეტალის შუასადების გამოყენება სუპორტსა და ხუნდს შორის, ან შეიცვალოს სტანდარტული დგუში ფოლადით.

გ. დაშვებულია წინა და უკანა მასტერ ცილინდრების შეცვლა და სამუხრუჭე სისტემის უკეთესით განახლება.

დ. დაშვებულია წინა და უკანა სამუხრუჭე სითხის რეზერვუარის შეცვლა

ე. დაშვებულია სამუხრუჭე მილების შეცვლა

ვ. ხუნდების ჩამკეტის მოდიფიცირება სწრაფი შეცვლის მიზნით დაშვებულია

ზ. ABS-ის დაყენება შეიძლება.

თ. დაშვებულია ABS-ის გაუქმება/დემონტაჟი. შესაძლებელია როტორის შეცვლა, მოდიფიცირება.

ი. დაშვებულია სახელურის სარეგულიროს გამოყენება.

1.15 სახელურები და შემადგენელი დეტალები

ა. დაშვებულია სახელურების შეცვლა

ბ. დაშვებულია სახელურების და კონტროლერების ადგილის შეცვლა

გ. აქსელერატორის სახელური თავისით უნდა იხურებოდეს ხელის აშვებისას

დ. გადაბმულობის და მუხრუჭის ბერკეტების შეცვლა დაშვებულია

ე. დაშვებულია ქარხნული ჩამრთველების შეცვლა, თუმცა ძრავის გამთიშველით ღილაკი უნდა იყოს სახელურზე

ვ. აკრძალულია სახელურების შედუღება

1.16 სატერფული და ფეხით მართვა

ა. დაშვებულია სატერფულის შეცვლა და მოდიფიცირება

ბ. სიჩქარის გადამრთველი უნდა იყოს მექანიკური, ფეხით მუშაობდეს

გ. დაშვებულია თითით მართვადი უკანა მუხრუჭის გამოყენება, მაგრამ ფეხის მუხრუჭიც უნდა მუშაობდეს იმ შემთხვევისთვის, თუ ტექნიკური ოფიცერი იქნება წინააღმდეგი

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

1.17 საწვავის ავზი

ა. საწვავის ავზი უნდა იყოს ქარხნულ მდგომარეობაში, აკრძალულია ნებისმიერი მოდიფიცირება (დაზიანებული ავზის შეკეთება დაშვებულია)

ბ. დაშვებულია საწვავის ავზის ხუფის შეცვლა, თუმცა უნდა იკეტებოდეს საიმედოდ და არ ჟონავდეს საწვავი. ყურადღება მიექცევა ''აფთერმარკეტი'' ხუფის წარმომავლობას და ხარისხს. (იაფფასიანი ჩინური ხუფით გასვლა აკრძალულია.)

გ. დაშვებულია საწვავის ავზის დამცავის გამოყენება, რომელიც მის ფორმას უნდა იმეორებდეს.

1.18 პლასტმასები და ვიზუალური მხარე

ა. პლასტმასები უნდა იყოს მყარად და საიმედოდ დამაგრებული

ბ. სარკეები მოხსნილი/აკეცილი, ხოლო ფარებზე და სხვა მანათობელ დეტალებზე გაუმჭირვალე წებოვანი ლენტი უნდა იყოს დაფარული

გ. საქარე მინის შეცვლა დაშვებულია

დ. პლასტმასის დამჭერების შეცვლა დაშვებულია

ე. დაშვებულია წინა და უკანა ფრთის (კრილოს) შეცვლა ან მოდიფიცირება (აწევა ზემოთ კლირენსის გასაზრდელად)

1.19 სავარძელი

ა. დაშვებულია სავარძლის შეცვლა

ბ. დაშვებულია უკანა სავარძლის გაუქმება

1.20 ნებადართულია შემდეგი დეტალების გაუქმება/მოხსნა

ა. ემისიის კონტროლი (O2 სენსორი და ა.შ)

ბ. სპიდომეტრი

გ. უკანა საბფრეიმზე დამაგრებული დეტალები (სანომრე, ციმციმა და ა.შ.)

დ. ფარები, საყვირი და მათი ჩამრთველები.

1.21 დროის ამთვლელი მოწყობილობები

ყველა მოტოციკლზე ტექნიკური დირექტორის ზედამხედველობით უნდა დაყენდეს დროის ამთვლელი მოწყობილობა (ლეპ თაიმერი), რომელიც იქნება საიმედოდ ხამუთით დამაგრებული. ლეპ თაიმერით მრბოლელებს უზრუნველყოფს ორგანიზატორი.

1.22 კამერების გამოყენება

ა. კამერის დაყენება ნებადართულია საქარე მინის შიგნით, მოტოციკლის კუდზე.

ბ. კამერა უნდა იყოს საიმედოდ დამაგრებული (სასურველია დამატებით ხამუთიც იყოს გამოყენებული) და უნდა შემოწმდეს ტექნიკური დირექტორის მიერ

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

2. რბოლაში მონაწილეობა

რბოლაში მონაწილეობა დაშვებულია ყველასთვის, ვინც აკმაყოფილებს რეგლამენტით გაწერილ ყველა მოთხოვნას, მრბოლელს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა ან/და მოტო კლუბების: პიტსტოპ აკადემია, საქართველოს მოტო კლუბი ან პრო რაიდერს აკადემიის მიერ გაცემული მართვის სერთიფიკატი და საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის მრბოლელის ლიცენზია.

2.1 ლიცენზიები

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია არის ერთადერთი ორგანო, რომელიც გასცემს ლიცენზიებს მონაწილეობის მსურველებზე. ეს ლიცენზია საშუალებას აძლევს მრბოლელს მიიღოს მონაწილეობა საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ შესაბამისი კატეგორიის სპორტულ ღონისძიებებში.

საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში და საქართველოს თასი მოტომოყვარულთა შორის

ლიცენზიის გარეშე მრბოლელი არ დაიშვება წრიულ რბოლებში. მის მისაღებად აუცილებელია რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის ცენტრალურ სარბოლე ბილიკზე დაფიქსირებული ჰქონდეს შესაბამისი კატეგორიის სალიზენციო დრო და წრეების რაოდენობა,

საქართველოს ჩემპიონატი წრიული რბოლა:

პრო კლასი

- მინიმუმ 50 წრე - არაუმეტეს 1.55 წუთისა ერთ წრეზე.

საქართველოს თასი მოტომოყვარულთა შორის TIME ATTACK:

- მინიმუმ 15 წრე არაუმეტეს 2.20 წუთისა ერთ წრეზე

3. ოფიციალური პირები **(**ადმინისტრაცია**)**

3.1 ოფიციალური პირები:

- შეჯიბრების ხემძღვანელი
- შეჯიბრების ხელმძღვანელის დამხმარე
- შეჯიბრების მდივანი
- შეჯიბრების ქრონომეტრაჟისტი
- მონაწილეებთან ურთიერთობის ოფიცერი
- მარშალები სარბოლო მონაკვეთზე
- მთ. ტექნიკური კომისარი
- ტექნიკური კომისარი
- დამხმარე პერსონალები უსაფრთხოების კონტროლისთვი

განმარტება

ოფიციალური პირები უზრუნველყოფენ რბოლის სამართლიან და უსაფრთხო გარემოში ჩატარებას. მათი პუნქტები განლაგებულია სარბოლო ტრასის პერიმეტრზე და ყველა მონაწილე ვალდებულია დაემორჩილოს მათ მითითებებს.

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

3.2 დროშების მნიშვნელობა

დროშები	წრიული რბოლის სასიგნალო დროშების განმარტება
	• სტარტი / რესტარტი / საფრთხის დასასრული • ასევე ფრიალებს ყველა მარშალის პუნქტზე ვარჯიშის, კვალიფიკაციის ან/და რბოლის პირველ წრეზე
	• თუ ყვითელი დროშები ფრიალებს სასტარტო ბადის გასწვრივ ეს ნიშნავს, რომ სტარტი გადაიდო • თუ ყვითელი დროშები ფრიალებს სასტარტო ბადის კონკრეტული სტრიქონის გასწვრივ ეს ნიშნავს, რომ სტრიქონში მდგომ რაიდერს ტექნიკური პრობლემები აქვს მარშალის პუნქტზე ფრიალებს ერთი ყვეთელი დროშა - მოცემულ მონაკვეთზე საფრთხეა მარშალის პუნქტზე • ფრიალებს ორი ყვითელი დროშა - მოცემუმული მონაკვეთის სარბოლო ტრასაზე ნაწილობრივ ან სრულად საფრთხეა • ერთი ან ორი ყვითელი დროშის ფრიალი არ ცვლის საფრთხის დონეს, მხოლოდ საფრთხის მდებარეობას მოცემულ მონაკვეთზე, მონაწილეები უნდა შენელდნენ და იმოძრაონ ფრთხილად მწვანე დროშამდე (გასწრება აკრძალულია) • ნებისმიერი დამრღვევი დაჯარიმდება რბოლის დირექციის მიერ
	გზის საფართან შეჭიდულობის გაუარესება (ტრასაზეა ზეთი, ქვიშა...)
	რბოლა გაჩერებულია
	ფრიალებს ყველა მარშალის პუნქტზე რაც, აფრთხილებს რაიდერებს, რომ ტრასის ზოგიერთ მონაკვეთზე წვიმს (მხოლოდ შეჯიბრების დირექციას აქვს უფლება გასცეს ბრძანება დროშის გამოყენებაზე)
	პიტლეინზე შესვლა (შესაძლოა დისკვალიფიკაციაც) აჩვენებენ საბორტო ნომერთან ერთად
	მოტოციკლს აქვს რაიმე სახის მექანიკური დაზიანება რომელიც საფრთხე უქმნის მას ან/და სხვა რაიდერებს და ვალდებულია შევიდეს პიტლეინზე (აჩვენებენ საბორტო ნომერთან ერთად ყველა მარშლის პუნქტზე)
	გაფრთხილება არასპორტული საქციელისთვის (აჩვენებენ საბორტო ნომერთან ერთად)

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

	• ფრიალებს მარშალის პუნქტზე, დროშა ამცნობს რაიდერს, რომ მას გაასწრებს სწრაფი მონაწილე. • ვარჯიშის დროს რაიდერი ვალდებულია შეამციროს სიჩქარე და მისი სარბოლო ზოლის შეცვლის გარეშე გაატაროს სწრაფი რაიდერი • რბოლის დროს, რაიდერი ვალდებულია პირველივე შესაძლებლობისას გააგტაროს სრაფი რაიდერი ნიბისმიერი დამრღვევი შეიძლება დაჯარიმებულ იქნას რბოლის დირექციის მიერ
	სესიის (რბოლა, კვალიფიკაცია, ვარჯიში) დასასრული
	ფინიშის დროშა და ლურჯი დროშა ერთად - ორივე დროშა ფრიალებს ფინიშის ზოლზე და ანიშნებს პილოტებს, რომ მათ ეწევათ რაიდერი რომელიც ბოლო წრეზეა
Ride Through	პიტლეინზე შემოსვლა გაჩერების გარეშე და რბოლის გაგრძელება (აჩვენებენ საბორტო ნომერთან ერთად)

3.3 გასაჩივრება

მრბოლელს უფლება აქვს დაწეროს საჩივარი რბოლის შედეგებზე, რომელსაც არ ეთანხმება. საჩივარი იწერება წერილობით წინასწარი შედეგების გამოქვეყნებიდან არაუმეტეს 30 წუთის განმავლობაში. საჩივრის განხილვა მოხდება შესაბამისი პირების მიერ 3 დღის ვადაში და შედეგები გამოქვეყნდება ფედერაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.გასაჩივრების ღირებულება: 300 ლარი

4. სამედიცინო სერვისები ღონისძიების დროს

4.1 ძირითადი

ორგანიზატორი ვალდებულია უზრუნველყოს პირველადი სასწრაფო-სამედიცინო დახმარება საჭიროების შემთხვევაში.

სამედიცინო სამსახური თავისი სპეციალური აღჭურვილობით და სატრანსპორტო საშუალებებით უნდა იყოს ისე ორგანიზებული, რომ საჭიროების შემთხვევაში შეუფერხებლად შეძლოს დაზიანებული მრბოლელისთვის ყველა საჭირო პირველადი დახმარების აღმოჩენა, აუცილებლობის შემთხვევაში კი საავადმყოფოში გადაყვანა.

4.2 მინიმალური სამედიცინო მოთხოვნები

ა. სასწრაფო-სამედიცინო მანქანები ისე უნდა იყოს განლაგებული მოტოდრომზე, რომ ინციდენტის შემთხვევაში მინიმალურ დროში შეეძლოს ექიმთა ჯგუფს ადგილზე მისვლა.

ბ. რეანომობილის რაოდენობას განსაზღვრავს ორგანიზატორი.

გ. ექიმების მიერ ადგილზე მოხდება მონაწილეთა შემოწმება. თუ მრბოლელის ჯანმრთელობის მდგომარეობა ექიმის ცნობის მიხედვით არ არის დამაკმაყოფილებელი, ის არ დაიშვება რბოლაზე

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge